ლენტეხი news

№5. ივნისი, 2024 წელი. www.lentekhinews.ge გამოდის თვეში ერთხელ • ვრცელდება უფასოდ

გია ონიანი: „ყოველთვის ვცდილობ, გავითვალისწინო ახალგაზრდების აზრი...“

ლენტეხის მერის პასუხი ახალგაზრდებს

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ გაზეთ „ლენტეხიnews“-ის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა სტატია „რა სურთ ლენტეხელ ახალგაზრდებს“, სადაც ახალგაზრდებმა გამოხატეს თავიანთი აზრი იმ საკითხებზე, რაც სურთ, რომ ლენტეხში უფრო განვითარებული იყოს.
ჩვენ ახალგაზრდების მოსაზრებებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ლენტეხის მერს, ბატონ გია ონიანს, რომელიც თავადაც დაინტერესებულია, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინოს ლენტეხელი ახალგაზრდების სურვილები.

გია ონიანი

- ბატონო გია, როგორც ვიცი, თქვენ გაეცანით წინა ნომრის სტატიაში ახალგაზრდების გამოთქმულ სურვილებს და გვსურს, უპასუხოთ მათ. რა სიახლეები იგეგმება ახალგაზრდებისთვის ლენტეხში?

- მოგესალმებით, მე მინდა, გამოვეხმაურო ახალგაზრდების სტატიას. ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის და ყოველთვის ვცდილობ, გავითვალისწინო მათი აზრი, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების, ვისაც სურთ ლენტეხის წინსვლა-განვითარება, გული შესტკივათ მშობლიურ რაიონზე.

პირველი საკითხი, რასაც ახალგაზრდები აღნიშნავდნენ, ეს იყო სპორტის განვითარებისთვის მეტი ხელშეწყობა. მინდა გითხრათ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გვაქვს გადადგმული და ამჟამადაც მიმდინარეობს. დავიწყებ სპორტდარბაზით. სპორტდარბაზის რეაბილიტაცია თითქმის დასრულებულია. ამ კუთხით ძალიან დიდი მხარდაჭერა გვაქვს ჩვენ სპორტისა და კულტურის სამინისტროსგან, ქალბატონ თეა წულუკიანისგან.

როგორც ვიცით, უკვე შესყიდულია საჭირო ინვენტარი როგორც კრივის სექციისთვის, ასევე - ფრენბურთისა და კალათბურთის სექციებისთვის. კალათბურთის სექციას რაც შეეხება, უკვე გვყავდნენ სტუმრად კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, ჩვენი რაიონელი შალვა ონიანის ხელმძღვანელობით და გვითხრეს, როგორც კი დასრულდება სპორტდარბაზის რეაბილიტაცია, მოგვაწვდიან საკალათბურთო ინვენტარს.

რაც შეეხება ძიუდოს, სპორტის ეს სახეობა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით განვითარებადი და პოპულარულია ჩვენთან. ველოდებით ახალ ლეიბებს კულტურის სამინისტროდან.

ასევე გვსურს მეკლდეურების ახალი კედლის გაკეთებაც. გარეთ არსებული და შიგნით არსებული ძველი კედლები დავშალეთ და გვინდა, რომ ახალი, თანამედროვე სტანდარტის კედელი გავაკეთოთ. ვეცდებით, წელს მოვასწროთ, თუ არადა, მომავალ სეზონს აუცილებლად მოვაგვარებთ.

აქვე მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ჩვენ დავიწყეთ კურორტ მუაშის სპორტული განვითარება. წელს არა მარტო ლენტეხში, არამედ საქართველოში პირველად ჩატარდა ზამთრის სპორტულ სახეობაში ბიატლონის ჩემპიონატი, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით. ბიატლონის ფედერაციის ხელმძღვანელი, ბატონი სოსო ბაღათურია ჩართულია პირადად და წინა დღეს გადამაგზავნინა იმ ინვენტარის ჩამონათვალი, რაც გვჭირდება, რათა ზამთარში თავიდან სრულფასოვნად აღდგეს როგორც ვარჯიში, ასევე დიდი შეჯიბრებები ჩავატაროთ.

გარდა ამისა, გვაქვს ერთი კარგი სიახლე: ერთ-ერთი პირველი რეგიონი ვართ საქართველოში, სადაც რაგბის განვითარება დავიწყეთ. გაიხსნა სარაგბო კლუბი „ამარანტი“. კარგი ადამიანების მხარდაჭერითა და დაფინანსებით უკვე ერთ წელიწადში ამ წარმატების შედეგმაც არ დააყოვნა და ახლახანს ონში გამართულ სარაგბო ფესტივალზე ყველა შეხვედრა ლენტეხის „დათვებმა“ მოიგეს. შედეგად, ჩვენი „ამარანტები“ სრულიად უფასოდ მიდიან შეკრებაზე ურეკში და ესეც ჩვენი კარგი სპონსორების მახრდაჭერითა და დაფინანსებით ხდება, ოჯახსა და ბავშვს არ უჯდებათ არაფერი არც ფორმა, არც - შეკრება. ყველაზე სასიამოვნო ფაქტი ისაა, რომ მთელი ლენტეხის მასშტაბით გვაქვს ათვისებული სპორტული მიმდინარეობა, რაც წინა წლებისგან განსხვავებით, დიდი ფუფუნებაა, როდესაც ბავშვს თავის სოფელში აკითხავს მიკრო ავტობუსი, მიჰყავს ვარჯიშზე, სადაც ვარჯიშს სრულიად უფასოდ და უსასყიდლოდ უტარებენ, შემდეგ კი ისევ უკან, სახლში მიჰყავს ავტობუსს. ასეთი რამ საქართველოს მასშტაბით არსად ხდება. ასე რომ, სპორტის მიმართულებით ძალიან დიდი ცვლილლებები გვაქვს.

- კულტურული განვითარების კუთხით რა მდგომარეობაა მუნიციპალიტეტში?

- ამ ეტაპზე რაც შემიძლია, გითხრათ, არის ის, რომ ლენტეხში კულტურის სახლის მშენებლობა თითქმის დასრულდა, წყალგაყვანილობა დასასრულს უახლოვდება და სულ მალე ძალიან დიდი და მასშტაბური ღონისძიება დაიგეგმება მისი გახსნისთვის. დაახლოებით ერთ თვეში ვიხილავთ გახსნას

- ბატონო გია, კიდევ რა აქტივობები იგეგმება ახალგაზრდებისთვის?

- გარდა ამისა, მინდა, აღვნიშნო, რომ ლენტეხის მერია ეხმარება მუნიციპალიტეტში ყველა მცხოვრებ ახალგაზრდას, მიიღოს სრულყოფილი განათლება ცეკვისა და სიმღერის მიმართულებით. კულტურის ცენტრია ჩვენთან შემოსული და ძალიან გვეხმარებიან. ასევე რამდენიმე წელია, ლენტეხშია გახსნილია ფოლკლორის ცენტრი და წინა კვირაში გადაწყდა, რომ ჩოლურის თემში გაიხსნას დამატებით ფოლკლორის ცენტრი, რასაც კულტურის სამინისტრო დააფინანსებს, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი მხარდაჭერაა.

- ბატონო გია, ახალგაზრდებმა ასევე გულისტკივილი გამოთქვეს, რომ ლენტეხში არ არის თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა. რას გვეტყვით ამ საკითხზე?

- მესმის ახალგაზრდების გულისტკივილი და მინდა, ვუთხრა მათ, რომ ბიბლიოთეკის სრული რეაბილიტაციის პროექტი უკვე მზადაა, ველოდებით მცირე ტექნიკურ ნაბიჯებს, ვიმედოვნებდით, რომ მისი სრული რებილიტაცია წელს მოხდებოდა, თუმცა, ჯერ არაა გადაწყვეტილი. მაგრამ ეს იმედი ჯერ არ გაქარწყლებულა, ვიმედოვნებთ, რომ იგივე შენობის სრულ რეაბილიტაციას მალე მოვახერხებთ.

- წარმატებებს გისურვებთ, ბატონო გია!

სტატია მოამზადეს: მარიამ ჯამბურიძემ და თაკო დოდოშვილმა

ლენტეხის სამხატვრო სკოლამ სასწავლო წელი საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებით დაამთავრა

ლენტეხის სამხატვრო სკოლამ, რომლის ხელმძღვანელიცაა თამილა ლიპარტელიანი, 14 ივნისს სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების წლის შემაჯამებელი გამოფენა თამარ მეფის ხეივანში გამართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 78 მოსწავლის ნამუშევრები: ფერწერა, გრაფიკა , გობელინი, თექა, ხის მხატვრული დამუშავების ნიმუშები.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ხელედის ჯგუფის მოსწავლეებმა.

გამოფენა დაათვალიერა ლენტეხის მერმა, გია ონიანმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი გაზდელიანმა, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა მედიკო ხვისტანმა, კულტურულ ორგანიზაციათა გაერთიანების უფროსმა ბესო გაზდელიანმა, საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის მოადგილეებმა: დავით პირველმა, ზვიადი ლობჟანიძემ და მარადი ლიპარტელიანმა.გამოფენას განსაკუთრებული ჟრიამული შემატა საბავშვო ბაღის გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელების სტუმრობამ (პედაგოგები ნათია გუგავა და თეონა მუკბანიანი).

გამოფენა ასევე დაათვალიერეს რაიონში შემოსულმა ტურისტებმა და ადგილობრივებმა.

* * *

26 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით კი ლენტეხის სამხატვრო სკოლის 41-მა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ბათუმში საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში „Wonderland-From Georgia With Love 2024", რომელიც ორგანიზებული იყო შ.პ.ს „TeM Travel" და შ.პ.ს. „Geo Fest, Georgia" - ს მიერ.

ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს , ასევე - ლატვიის, ყაზახეთის, უკრაინის, გერმანიის, ისრაელის,ლიტვის, სომხეთის წარმომადგენლები.

ჟიურის შეფასებით, უმაღლესი შეფასება - 41 პირველი ადგილი, მედლითა და თასით, მოიპოვეს ლენტეხის სამხატვრო სკოლის წარმომადგენლებმა.

სამხატვრო სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამილა ლიპარტელიანი მადლობას უხდის ორგანიზატორებს მიწვევისთვის და ჟიურის - უმაღლესი შეფასებისთვის. ხოლო მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის ლენტეხის მერს, გია ონიანს, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსს, მედიკო ხვისტანს და კულტურულ ორგანიზაციათა გაერთიანების უფროსს, ბესო გაზდელიანს.

ჩვენი რედაქცია კიდევ ბევრ წარმატებას უსურვებს ლენტეხის სამხატვრო სკოლას სამომავლოდ!

ნატა გულბანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტში შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება პრიორიტეტულია

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ პრიორიტეტს შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება წარმოადგენს.

სწორედ ამ მიზნით სოფელ წანაში მიმდინარეობს ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა-რეაბილიტაცია და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისკენ მისასვლელი ბილიკების მოწყობითი სამუშაოები, რომელსაც შპს."ელიტ ბილდერს გრუპი" ასრულებს.

სახელშეკრულებო ღირებულება კი 132,858 ლარს შეადგენს.

ასევე, სოფელ ლესემაში, მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა მდინარე ხელედურაზე.

სამუშაოების განხორციელებას შ.პ.ს "ბაბილო კომპანი", უზრუნველყოფს თანხით 140,179 ლარი.

მონიტორინგის მიზნით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბერდია ჩანქსელიანმა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა, გია ონიანმა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაათვალიერეს.

სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

სოფელ სასაშში ეროვნული გმირის, ემზარ ონიანის სახელობის სკვერი კეთილმოეწყო

მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ადგილობრივების თხოვნის საფუძველზე, სოფელ სასაშში ემზარ ონიანის სახელობის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდა.

შესრულებული სამუშაოების ფარგლებში მოეწყო მონოლითური რკინა-ბეტონის კედელი, გრანიტის ქვის დეკორატიული ღობე, მონოლითური რკინა-ბეტონის კიბეები და პანდუსები, გრანიტის ბორდიურები, ქვაფენილი, განათება, საბავშვო მოედანზე ატრაქციონი, ასფალტო-ბეტონის საფარი, ფანჩატური და ემზარ ონიანის სახელობის მემორიალური ქვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა, გია ონიანმა, და საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი გაზდელიანმა, დასრულებული პროექტი მონიტორინგის მიზნით მოინახულეს.

334 431 ლარის ღირებულების პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

დაგეგმილია და უახლოეს პერიოდში კეთილმოეწყობა ეროვნული გმირის, ემზარ ონიანის საფლავიც.



ქვემო სვანეთში ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,სკალდობა 2024 " აღნიშნეს

დილიდან სკალდის მთაზე, გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების სახელობის ეკლესიაში, რომელიც ზღვის დონიდან 2210 მეტრზე მაღლა მდებარეობს, წირვა აღავლინა ჭყონდიდის, ცაგერის და ლენტეხის მიტროპოლიტმა-სტეფანემ და ნიკორწმინდელმა ეპისკოპოსმა-ვახტანგმა.

უამრავი სტუმარი და მომლოცველი ეწვია ლეგენდარულ სკალდისა და ფაყის მთას, რომელიც მრავალ მითს და იდუმალებას ინახავს. სკალდის მოლოცვა იმედით, ძალით და წყალობით ავსებდა მორწმუნეებს ოდითგან.

სკალდის მთაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულ უამრავ სტუმართან ერთად, იმყოფებოდნენ: საქართველოს თავდაცვის მინისტრი- ირაკლი ჩიქოვანი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე-ნიკოლოზ სამხარაძე, პარლამენტარები, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი-გოჩა ენუქიძე, სახელმწიფო რწმუნებული-პაპუნა მარგველიძე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი-გია ონიანი, საკრებულოს თავმჯდომარე-გიორგი გაზდელიანი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

დღესასწაულის ფარგლებში სკალდის მთაზე გაიმართა სპორტული შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობებში: ჭიდაობა ,,ლბ"რგიელი", ჯილდაობა) და დოღი.

დოღში გამარჯვებულს,თემურ ჩანქსელიანს საჩუქრად გადაეცა ცხენი.

სვანურ ჭიდაობა ,,მარკლანში" გამარჯვებულს, მირიან გვიჭიანს, გადაეცა ფულადი პრიზი.

სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულები დაჯილდობდნენ ფულადი პრიზებითა და საჩუქრებით.

ფაყის მთაზე ასევე მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეებისა და თვითნასწავლ მხატვართა ხეზე კვეთისა და სხვა ხელსაქმის ოსტატთა მიერ შესრულებული ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. ხოლო, ხელედის ქალთა ფოლკლორული ანსამბლის

,,სკალდი"-სა და ლენტეხის მგალობელ ბავშვთა გუნდის მიერ შესრულდა სხვადასხვა საგალობო და საფერხულო სიმღერები.

ინფრასტრუქტურული პროექტების სტატისტიკა ლენტეხში

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელედის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ რვავე სოფელში (ბავარი, მანანაური, ცხუმალდი, ხაჩეში, ხელედი, წანაში, ლესემა, ფაყი) 2012 წლიდან 2024 წლამდე ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები-თანხით:

- ცენტრალური, შიდა სასოფლო გზებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა 6 000 842 ლარი.
- ნაპირსამაგრები და მდინარეების გაფართოება-გასწორხაზოვნება 2 311 753 ლარი.
- სასმელი წყლის მაგისტრალებისა და აუზების მოწყობა 349 780 ლარი.
- ხიდებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია 3 408 041 ლარი.
- მინი სტადიონების მოწყობა 180 000 ლარი.
- ბაღებისა და სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია 2 045 000 ლარი.

ხელედის თემში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია - 120 000 ლარი
- თავშეყრის ადგილის მოწყობა - 22 000 ლარი
- ხიდ-ბოგირების მოწყობა - 20 000 ლარი
- წყლის სისტემების რეაბილიტაცია - 20 000 ლარი
- გარე განათების მოწყობა- 90 000 ლარი
- სასასფლაოების შემოღობვა- 40 000 ლარი
- ტრაქტორის შეძენა - 10 000 ლარი
- სასასფლაოების შემოღობვა - 15 331 ლარი
- საზაფხულო იალაღებზე კოტეჯის მოწყობა - 7 764 ლარი
- ხიდ-ბოგირის მოწყობა - 5 262 ლარი
- ხიდ-ბოგირის მოწყობა - 4 120 ლარი
- ხიდ-ბოგირის მოწყობა - 4 223 ლარი
- ჯებირის და გადასასვლელის მოწყობა - 5 010 ლარი
- წისქვილის შეძენა - 4 751 ლარი
- ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა - 5 047 ლარი
- მინერალური წყლის მოწყობა და გზის რეაბილიტაცია - 13 667 ლარი
- მინი ტრაქტორის შეძენა - 7 798 ლარი
- გზის რეაბილიტაცია - 15 328 ლარი
- სარიტუალო დანიშნულების ფარდულის მოწყობა - 9 623 ლარი
- მდინარის ნაპირის გამაგრება - 5 057 ლარი
- სეფის მასალისა და ჯამ-ჭურჭლის შეძენა - 16507 ლარი

ლენტეხის მუნიციპალიტეტში 9 სოციალური პროგრამა ხორციელდება!

ინტერვიუ ლენტეხის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელ ხათუნა ლიპარტელიანთან.

- ქალბატონო ხათუნა, როგორც ვიცი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა ინტერესი განსაკუთრებით დიდია სოციალური პროგრამების მიმართ, თუ რა სახის დახმარებების გაცემა ხდება, ვინ არიან კონკრეტული პროგრამების ბენეფიციარები ან რა დოკუმენტაციაა საჭირო ამა თუ იმ პროგრამაში ჩასართავად. სწორედ ამ დიდი ინტერესის გამო, გთხოვთ რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხოთ.

- ამჟამად რამდენი სოციალური პროგრამა ხორციელდება ლენტეხში და რა ბიუჯეტია ამისთვის გათვალისწინებული 2024 წელს?

- ამჟამად ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება 9 სოციალური პროგრამა, ამისთვის კი ბიუჯეტში გათვალისწინებულია - 235 000 (ორას ოცდათხუთეტი ათასი) ლარი.

- გასულ წელთან შედარებით, ხომ არ გაზრდილა სოციალური პროგრამების დაფინანსება ან რომელიმე ახალი პროგრამა ხომ არ დამატებია?

- დიახ, სოციალური ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და გასულ წელთან შედარებით, წელსაც გაზრდილია. რაც შეეხება ახალ პროგრამას, მიმდინარე წლის განმავლობაში ახალი პროგრამა დადგენილებაში არ დამატებია.

- ზოგადად, ვინ ითვლება სოციალური დახმარების პროგრამის სამიზნე ჯგუფებად თქვენს მუნიციპალიტეტში, ვინ არიან თქვენი სოციალური პროგრამების ბენეფიციარები?

- სოციალური დახმარების პროგრამის სამიზნე ჯგუფებად ითვლებიან:

მძიმე ავადმყოფები, მრავალშვილიანი დედები, დაბადებიდან შშმპ, ვეტერანები, დევნილები, ხანდაზმულები, ეკომიგრანტები.

- რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში?

- ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 2200 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარი.

- მაინც როგორ უნდა მივიღოთ სოციალური დახმარება ბიუჯეტიდან, რა დოკუმენტაციაა ამისთვის საჭირო?

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარება გაიცემა შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა #100/ა, გაცემიდან 3 თვის განმავლობაში.
დ) ანგარიშფაქტურა სამკურნალო დაწესებულებიდან ჩატარებული მკურნალობის შესახებ, ქვითარი წარმოდგენილი უნდა იყოს სტაციონარიდანგამოწერის შემდეგ არაუმეტეს 60 კალენდარული დღის განმავლობაში;
ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიში;
ვ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- დღეის მდგომარეობით სულ რამდენი თანხაა გაცემული თითოეული პროგრამის ბენეფიციარებისთვის?

- დღეის მდგომარეობით 350 ბენეფიციარზე გაცემულია 140 000 (ას ორმოცი ათასი) ლარი.

მარიამ ჯამბურიძე

პირველად ონში ბავშვთა სარაგბო ფესტივალი გაიმართა

ონის მუნიციპალიტეტის სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე საქართველოს მთავრობის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების, ასევე საქართველოს რაგბის კავშირის პარტნიორობით, 2013-2014 წლებში დაბადებულ ბავშვთა სარაგბო ფესტივალი გაიმართა.

ტურნირს მასპინძლობდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ერთი წლის წინ დაარსებული სარაგბო კლუბი „ამარანტები“, რომელიც ბიზნესმენების: დიმიტრი აბდუშელიშვილის, მამუკა მურჯიკნელის, ალექსი ნიკოლაიშვილის და აკაკი დავითულიანის თაოსნობით, ლეჩხუმის, ლენტეხის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებისა და რაგბის კავშირის მხარდაჭერით დაარსდა.

ფესტივალის დასრულების შემდგომ გაიმართა სარაგბო გუნდების დაჯილდოების ცერემონია, რომელშიც მანაწილეობა მხარის რწმუნებულთან, პაპუნა მარგველიძესთან ერთად, მოწვეულმა სტუმრებმა, ცნობილმა მორაგბეებმა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელმა პირებმაც მიიღეს.

დაჯილდოვდა ფესტივალში მონაწილე თექვსმეტივე გუნდი შესაბამისი სიგელებითა და სუვენირებით.

ლენტეხიდან გამარჯვებული გუნდი იყო „დათვები“.

აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტში სარაგბო ბავშვთა ფესტივალი აქამდე არასდროს ჩატარებულა. მისი მიზანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონში რაგბის პოპულარიზაცია.

ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

დაბა ლენტეხში, ოლეგ ლიპარტელიანის სახელობის ლენტეხის ოლიმპიური მომზადების ცენტრის სტადიონზე, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის ქართულ ჭიდაობაში, გერასიმე ქურასბედიანის სახელობის ღია ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრში ლენტეხის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლების გაერთიანებაში შემავალი ჭიდაობის სექციის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ.

გერასიმე ქურასბედიანის სახელობის თასი გარდაცვლილის შვილიშვილმა მძიმე წონაში გამარჯვებულ ნიკოლოზ ლიპარტელიანს გადაცა.

ხოლო ტექნიკური მოჭიდავის თასი წილად ხვდა ნანუკა ონიანს. სხვა კატეგორიებში გამარჯვებულები მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ლენტეხის მერმა, გია ონიანმა მადლობა გადაუხადა ტურნირის ორგანიზატორებს, შესაბამის სამსახურს, მწვრთნელებს, მონაწილეებს საინტერესო და სანახაობრივი შეჯიბრის ჩატარებისთვის.

ტურნირი ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივითა და თანადგომით ჩატარდა.

იმავე დღეს ცენტრალურ ხეივანში მოეწყო სამხატვრო სკოლის აღსაზრდელების მიერ შესრულებული შემაჯამებელი ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება.

ასევე, რესურსცენტრის ხელმძღვანელობით ზოგად-საგანმანათლებლო საჯარო სკოლებს შორის გაიმართა შეჯიბრი ფრენბურთში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა და გამარჯვებული გუნდი გახდა გოგონათა შორის ჩოლურის საჯარო სკოლა, ხოლო ვაჟებს შორის - სოფელ მელეს საჯარო სკოლა, მეორე ადგილი გოგონებსა და ვაჟებს შორის ლენტეხის პირველმა საჯარო სკოლამ დაიკავა, მესამე ადგილი ვაჟებს შორის ხოფურის საჯარო სკოლამ მოიპოვა.

პიკანტური ისტორიები

ნაშვილები

ირაკლი აბულაძე

წინა ნომრიდან

IV

—ჩვენ ძველი ქუთაისელები ვართო,—დეიწყო თალიკომ,—ბაბუაჩემის ბაბუას ედგა სახლი გორაზე. იმის იქით ვინ იყო ჩვენი წინაპარი, არ ვიცი, მარა, მიხეილი რო რქმევია ბაბუაჩემის ბაბუას და გორაზე ნაცხოვრება, ეს ქე მსმენია ბავშვობაში.

ბაბუაჩემი შეძლებული კაცი ყოფილა, ბოლშევიკებმა ყველაფერი წაართვეს და ოცდაჩვიდმეტში უფროს შვილთან ერთად გადაასახლეს. ბიძაჩემი ქე დაბრუნდა მერე და ცოტა ხანს მაინც იცოცხლა, მარა, ბაბუაჩემის ძვლები სად დალპა, ვინ იცის. მაგათი სურათებიც არ დაგვრჩენია, ბებიაჩემს და დედაჩემს ყველაფერი დაუწვავთ. რატომ და, როგორი შიშიანობა იყო, შენ არ გემახსოვრება, ჟორა, მარა, გაგონილი მაინც გექნება.

მამაჩემი ომიანობის დროს ჭლექმა მოკლა. დედაჩემმა სიმწრით გაგვზარდა მე და ჩემი სამი და. შესახედავად არც ერთი არ ვვარგოდით, მამულები ჩვენ არ გვქონდა და ქე დავრჩით ოთხივე გოუთხოვარი. ორი უფროსი და წლების წინეთ მომიკვდა. მე და გუცუნია დავდივართ ახლა ქუთათელაძეების ბარობაზე, თუ ქვია ჩვენ სიარულს სიცოცხლე!

ისე, ჩვენ შორის გუცუნიე იყო შედარებით შეხედული, კაი ტან-ფეხი ქონდა და კაი გიტარაც იცოდა, ქორწილში და კამპანიებში სულ მაგას პატიჟობდენ სტუმრების დასატკბობად, იმნაირად უკრავდა და მღეროდა, მარა, რად გინდა, მაინც არ მოუვიდა ბედი! მაგას იმფერი ლამაზი კაცი უყვარდა!.. ოთარი არ იცი, სულაბერიძე? მეობას რომ ეძახდენ. მაგი უყვარდა ბიჭობაში ჩემ გუცუნიას, მარა, ოთარიმ სულ არ იცოდა არაფერი, ის კი არა, გუცუნიასაც არ იცნობდა. უბრალოდ, ერთხელ ქუჩაში უკითხიათ რაღაცა მაგას და მის ამხანაგს გუცუნიასთვის, ხოდა, იმის მერე ჩავარდნია გულში ჩემ დას. აპა!.. რას შობა სიყვარული! ოთარი რომ მოკვდა, ცხონებული, გუცუნიას მას მერე არც გოუცინია. მაინც სადა აქვს დღეს საქმე საცინრად, მარა...

რაღა ბევრი გაგიგრძელოთ, ჩემო მზახლებო, ასე რომ შემოვაბერდით ერთი-მორეს მე და ჩემი და, და მე რომ ორმოცი წლის გავხდი და მაგი ორმოცდახუთის,—ერთხელ ქალის ხმამ დაგვიძახა ჭიშკარზე. სამოცდარვა წელი იყო, 12 ნოემბერი, რა დამავიწყებს იმ დღეს!

გუცუნია გევიდა და მეზობლის მდგმურს შემოუძღვა ტკარცალ-ტკარცალით. მეგრელი გოგო იყო, სტუდენტი. ხანდისხან უყვარდა ჩვენსას გადმოსვლა. გუცუნიასთან დაქალობდა განსაკუთრებულად. მაგასაც ცოდნია, ჩემ დასავით, გიტარა, ხმაც არ ქონდა ცუდი. ზოგჯერ თავისი გაკეთებული სულგუნიანი ღომის გადმოტანაც იცოდა, ან უთოს სანათხოვროდ გადმოდიოდა. მოკლედ, დაახლოებული გვყავდა.

ნოკოშას... ნოკოშა ერქვა მაგ გოგოს (პატარა ტყლიპი ქონდა მარცხენა ლოყაზე, თორემ ისე არ იყო ულამაზო)—ფერი არ ედო სახეზე.

გუცუნია კაი ხასიათზე იყო, რაღაცეებს ემასხრებოდა იმ გოგოს, და ვერაფელს ამჩნევდა, მარა, მე რავარც მივატანე თვალი, იმ წამს მივხვდი, რაცხა ცუდი რომ დამმართნოდა.

—რა იყო, ნოკოშა-თქვა?—შევეკითხე.

—მაცალეთ ცოტა და გეტყვითო,—ისეთი ხმით ამეილაპარაკა, გუცუნიაც გაშტერდა.

წყალი დავალევიეთ და მერე ნოკოშამ ძლივს-ძლივს გაგვიბედა თქმა.

—რომ რამე იყოს... ბავშვს არ ეიყვანდითო?

—რაიო?—მე და გუცუნიამ ყურებს არ დოვუჯერეთ.

მაგაზე მანამდე არც გვიფიქრია და არც ვინმეს ურჩევია ჩვენთვის, ვინმე მაინც იშვილეთო. ისეთი მოულოდნელი ნათქვამი იყო, ისეთი, რომ...

გუცუნია უფრო ნელია, მე სწრაფი აზროვნება მაქვს, ხოდა, მალე გამოვერკვიე. რაღაცა წამის წამებში ვიაზრე, რომ ცუდ რამეს არ გვთავაზობდენ.

აწი გასათხოვრად არც ერთი არ ვვარგოდით და სამომავლო იმედად ბაღანას რო გეეარა ჩვენ კოინდარზე, ვითამ რეიზა უნდა ყოფილიყო ცუდი?

—კი, მარა... სადაა, მერე, ბოვშითქვა?—ვკითხე ყასიდად ნოკოშას.

—ბოშო, შენ ხვარ ხარ ორსულადო?—ძლივს ამოღერღა გუცუნიამაც.

—არა, გუცუნია დეიდა, მე კი არა, ჩემი კურსელი გოგოაო.

—რომელი კურსელი, შენთან რომ ტყიბულელი მაღალი გოგო დადის, ეთერი, ხრუშოვს რო გავს მამამისი?

—არა, არა, მაგი არაო.

—აბა, რომელი? ლამარა?—მისი მეორე თანაკურსელი ლამარაც ლამაზი გოგო იყო, ახლაც მახსოვს, რა თვალები ქონდა, რა თმები.

—დედას ვფიცავარ, არაო!—იუარა ნოკოშამ ყველა, ვინც ჩამოვუთვალეთ. ნამეტანი რომ ჩავეძიეთ, გამოგვიტყდა, თანაკურსელი კი არა, დეიდაშვილია ჩემი, ლამზირაო.

ლამზირა მაგასთან ერთად ცხოვრობდა ბინაში, აბრეშუმში მუშაობდა თუ „ზაგოზერნოში“, აღარ მახსოვს ახლა. თეთრი, ცისფერთვალებიანი გოგო იყო, მოწინავე მუშად ითვლებოდა. მაგის სურათი, ოთარია ბერეჩიკიძის თუ გერსამიას გადაღებული,—ორჯერ იყო „კომუნისტში“, წინა გვერდზე დაბეჭდილი, დაზგასთან თუ რაღაცასთან რო იდგა, ისე. კომკავშირის ქალაქკომის წევრიო, ყრილობის დელეგატიო და რა არ იყო, შრომის მედალიც ქე ქონდა მიღებული. გვარი აღარც ქე მახსოვს მისი და, რო გითხრათ სიმართლე, არც მინდოდა, გამეგო.

ხოდა:

—კი, მარა, რა მოუვიდა ლამზირასო?—კითხა შეშფოთებულმა გუცუნიამ ნოკოშას.

ძალიან რცხვენოდა თქმა, მარა, მოყვა მერე, რავარცხა იყო საქმე.

თურმე, რომელიცხა საგანი ქონია ჩოუბარებელი. და მაგი რო არ ჩეებარებია, კურსზე რჩებოდა. მოწინავე კომკავშირელად რო ითვლებოდა და მაგის სურათი საპატიო დაფაზე ეკიდა,—ინსტიტუტში ჩამორჩენას ვინ აპატიებდა, თანაც პარტიის წევრობის კანდიდატი იყო. გემახსოვრებათ, მაშინ პარტიაში შესვლას რამდენი რამე უნდოდა. ყველას კი არ იღებდენ. პარტიაში რო შეხვიდოდი, დაწინაურებაც და კაი ცხოვრებაც გელოდა, აპა!.. რავა ცხოვრობდენ მაშინ შრომის გმირები, არ გახსოვთ?

გაგრძელება მომდევნო ნომერში

კროსვორდი





თარაზულად: 3. ქვეყანა აფრიკაში... ფასო. 5. მაღალი ხარისხის მინა. 6. კედლის სანათი. 8. მდინარე ზაირში. 9. ქალაქი ირლანდიაში. 11. ჩირქის დაგროვება ორგანიზმში.

შვეულად: 1. ტბა შუა აზიაში. 2. მდინარე ვიეტნამში. 3. სახელმწიფო ანტიგუა და... 4. ვარსკვლავი სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედში. 7. სახელმწიფო აზიაში. 10. ჩანჩქერი ვენესუელაში.

კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ტრიფონი. 5. კაირო; 6. უმი. 8. რად. 9. ელვის. 11. ინჩუანი.
შვეულად: 1. ტიგრი. 2. ბოა. 3. ტრაბახი. 4. ისმაილი. 7. ალტაი. 10. აჩუ.

შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ჩვენი ენა ქართული

უცხოური ტერმინოლოგიიდან

აპელაცია (ლათ. appellatio—მიმართვა) — ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში სასამართლოს განაჩენის ან გადაწყვეტილების გასაჩივრება, რაც საქმის არსებით გადასინჯვას იწვევს.

აპელაცია არის აგრეთვე მხარდაჭერის მიზნით რომელიმე ავტორიტეტული ინსტანციისადმი (ორგანიზაციის, ცალკეული პირის), საზოგადოებრივი აზრისადმი მიმართვა.

პენიტენციარული (ლათ. poenitentia — მონანიება) — თავისუფლების აღკვეთის სისტემაა (სასჯელაღსრულებითი), რომელიც დაფუძნებულია განმარტოებული პატიმრობის, მტანჯველი რეჟიმისა და პატიმართა რელიგიური გაბრუების შეხამებაზე; პირველად გაჩნდა მე-18 საუკუნის ბოლოს.

ოფშორული — მოდის ინგლისური ტერმინიდან (off-shore), ქართულად ითარგმნება, როგორც — ნაპირს მოშორებული.

უფრო ზუსტად, ტერმინში იგულისხმება ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ჩვეულებრივ პატარა კუნძულებზე) მყოფი, განსაკუთრებით — ამგვარ ზონაში დაფუძნებული კომპანია (ფონდი), რომელიც შეღავათიანი საგადასახადო პირობებით სარგებლობს.

ფორსმაჟორი — მოდის ფრანგული ტერმინიდან (force majeure), რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაულახავი დაბრკოლება.

რატომ ვამბობთ ასე

„ცოცხი შეგიჭამე!..“ — ხატოვანი გამოთქმაა, რომელიც უგერგილო არშიყის დასახასიათებლად გამოიყენება.

თქმას შემდეგი ისტორია უდევს საფუძვლად: ერთ ქიზიყელ მოარშიყე ყმაწვილს, სატრფო რომ შეხვედრია, თავისი უზომო სიყვარულის გამოხატვა ამ სიტყვებით მოუნდომნია: ცოცხი შეგიჭამეო. დაიმედებული ყოფილა, რომ ასეთი ერთგულებისთვის სატრფოში თანაგრძნობას გამოიწვევდა. ტრფიალების საგანიც, აგრეთვე ქიზიყელი, არ ჩამორჩენია ვაჟს, არც უცივებია, არც უცხელებია და ნაზად უპასუხნია თაყვანისმცემლისთვის: — ვირი ხომ არა ხარ, ცოცხი შემიჭამოო?!

თედო სახოკია

ენის მარგალიტები

ანდე- „მცირედ რამ ხედვა“ — საბა; გუმანი, სიბნელეში აზრით სიარული.

ანჯახი- (ქიზიყ.) — ძნელად ასატანი, ავი, ბრაზიანი, უხასიათო ადამიანი.

არიფი- (სპარს.) — ამხანაგი, ტოლი, თანამონაწილე, თანამოაზრე, თანამეინახე (სუფრაზე).

ლენტეხი news
ქიმერიონი qimerioni
მთავარი რედაქტორი: გულიზა (ნატო) გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. №16/12. • **599 10 77 94** • nato2727@gmail.com
გამომცემელი: შპს „ქიმერიონი“; კომპანიამ ტენდერში გამარჯვების გზით მოიპოვა ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვის ყოველთვიური საზოგადოებრივი გაზეთის გამოშვების უფლება (საგაზეთო მასალების მომზადება, ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება). ხელშეკრულება №21 (12.02.2024).